

„გამტკიცებ“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში

2019 წელი  
3-5 მაისი  
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- საქართველოს ძიუდოს ახალგაზრდული (ვაჟები) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება;

## II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრის მონაწილეები

- შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ის ძიუდოისტები, რომელთაც მოიპოვეს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ასპარეზობის ლიცენზია.

## IV. შეჯიბრის კენჭისყრა, ადგილი, დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 3 მაისს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ოფისში.
- შეჯიბრი ჩატარდება 2019 წლის 4-5 მაისს, ქ. თბილისში ძიუდოს აკადემიაში.
- ჩამოსვლის დღე ქ. თბილისი – 3 მაისი, წასვლის დღე – 6 მაისი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10.00 საათი.

## V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში:  
60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;  
4 მაისი – 60კგ; 66კგ; 73კგ;  
5 მაისი – 81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;

## VI. აწონვა

### აწონვა: ქ. თბილისში

3 მაისი თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

60კგ; 66კგ; 73კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

### 4 მაისი ქ.თბილისში, ძიუდოს აკადემიაში

81კგ; 90კგ; 100კგ; +100კგ;

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

## VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენტა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებს მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 52 82 05;

საკონტაქტო პირი – 577 99 44 07 ზურაბ უსუფაშვილი

საკონტაქტო პირი – 568 31 16 60 ლაშა გუჯეჯიანი

**P.S.**

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის საგადაღებულთა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.

ფედერაციის პრეზიდენტი



გიორგი ათაბეგაშვილი